წერილის ნომერი: **113-113253437**
თარიღი: **09/12/2025**

ადრესატი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს
თავმჯდომარეს ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

ქალბატონო ნათია, ,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 დეკემბრის ანგარიშს.

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 დეკემბრის ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 დეკემბრის ანგარიშს - ინფორმაციას 2024 წლის 10 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ:

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოში აღნიშნული პერიოდისათვის სულ შემოსულია 4 (ოთხი) მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით საკრებულოს მომართა მედია საშუალებებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, და მოქალაქეებმა. ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია კანონით გათვალისწინებულ ვადაში.

1.ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოში აღნიშნული პერიოდისათვის სულ შემოსულია 4(ოთხი) მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით.

2. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის გადაწყვეტილება არ მიღებულა.

3. საჯარო ინფორმაციაში შესწორების მოთხოვნით მომართვა არ შემოსულა.

4. ყველა მომართვა დაკმაყოფილდა კანონით გათვალისწინებულ ვადაში

5. ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა დახურულად არ გამოცხადებულა. 6.ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საჯარო მონაცემთა ბაზებისა და პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და გადაცემის მოთხოვნით მომართა შემდეგმა მედია საშუალებებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მოქალაქეებმა:

· მოქალაქის პორტალი- /თორნიკე კურტანიძე/.

· კესო ახალაია - /მოქალაქე/

· თამარ რობაქიძე - /მოქალაქე/

· მედია სახლი-სამხრეთის კარიბჭე- /ჟურნალიტი - ნუნუ სტეფნაძე/.

7.საანგარიშო პერიოდში ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა მხრიდან არ მომხდარა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევა.

8.ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო */თავმჯდომარე შმაგი ბიძიშვილი/* იხელმძღვანელებდა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილით, 271 -ე მუხლით, 28-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 44-ე მუხლით, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით.

9.საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა და არ გასაჩივრებულა.

10.ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ და სხდომის დახურვის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიღებულა, შესაბამისად არ მომხდარა მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

პატივისცემით,

შმაგი ბიძიშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე